ხელშეკრულება N501-11
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

10 დეკემბერი 2015

თბილისი

წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“** შემდგომში **„შემსყიდველი“**, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლენა ასკურავას სახით და **შპს ავტო ვორლდ AVTO WORLD** ს/კ 405017235 მისი გენერალური დირექტორის თორნიკე მიმინოშვილის სახით, შემდგომში **„მიმწოდებელი“**, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვებბის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს ავტომანქანა MITSUBISHI DELICA –LOL-164-ის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაში, მისთვის საჭირო მასალების ახლით შეცვლით ხარჯთაღრიცხვა დანართი N1 მიხედვით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

- **CPV 50112000.**

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. **ფასი და გადახდის პირობები**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **171(ასსამოცდათერთმეტი)ლარს.**

2.2 ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებული მომსახურების ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, ასევე კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მომსახურების გაწევის შემდეგ.

3. **ხარისხი**

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან/ მომსახურების გაწევისას, თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოასწოროს წუნდებული მომსახურება ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

4. **მიწოდების წესი**

4.1 მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2015 წლის 15 დეკემბრისა.**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს ჩაატაროს მომსახურების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: **ლაშა ჭიჭვეიშვილს**, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას.

4.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით გაწეული ან/და უხარისხოდ (წუნდებული) ან/და არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე მომსახურების მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

4.6 მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მომსახურების გაწევის პერიოდის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.4 გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების გაწევის ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

6.3 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6.4 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი სტიქიური უბედურების ან სხვა ფორს-მაჟორულ შემთხვევაში.

7. ფორს-მაჟორი

მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი,შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8. სხვა უფლებები და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი (მომსახურების ნაწილში ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომლებიც გამორიცხავენ მომსახურების გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, იგი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს წერილობით მიმწოდებელს დასაბუთებული უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურება ითვლება მიღებულად და ექვემდებარება ანაზღაურებას.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში:

8.3.1.თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავისი მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხიანი მომსახურების დადგენილ ვადებში გაწევას;

8.4 ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს **2016 წლის 15 იანვრისა.**

9.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართი და ხელმოწერა:

„შემსყიდველი“	სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“
საიდენტიფიკაციო კოდი:	202058520
ფაქტიური მისამართი:	თბილისი, გიორგი ტოვსტონოგოვის ქN2
იურიდიული მისამართი:	თბილისი, ზ. ჭავჭავაძის ქN12
ტელეფონი:	2 96 97 03 / 04
ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი (მფო):	TRESGE22
ანგარიშის N:	GE24NB0330100200165022

„მომწოდებელი“	შპს ავტო ვორლდ AVTO WORLD
საიდენტიფიკაციო კოდი:	405017235
მისამართი:	თბილისი, ჩარგლის ქ-ის გაგრძელება N77
ტელეფონი:	599365928
ბანკი:	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი (მფო):	BAGAGE22
ანგარიშის N:	GE89BG0000000492044900

იურიდული მისამართის ან/და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა	შპს ავტო ვორლდ AVTO WORLD
ლენა ასკურავა	თორნიკე მიმინოშვილი

დანართი **N1**

ხარჯთაღრიცხვა

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2015 წელი

N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ანტიფრიზის შეცვლა (5ლ)	ლიტრი	5	11	55,00
2	ნათურის შეცვლა 1ც (ახლით)	ცალი	1	6	6
3	წინა ხუნდების შეცვლა ახლით	კომპლექტი	1	110	110
		სულ ჯამი:			171,00

„ შემსყიდველი“

სსიპ - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა
მის: გ.ტოვსტონოგოვის ქ. N 2
ს/კ 202058520
ტელ: 2 96 97 03 / 04
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
კოდი - TRESGE 22
ა/ა GE24NB033010020011650 22
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი
ლენა ასკურავა

„მიმწოდებელი“

შპს ავტო ვორლდ AVTO WORLD
მის:თბილისი, ჩარგლის ქ-ის გაგრძელება N77
ს/კ 405017235
ტელ: 599365928
ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“
კოდი - BAGAGE22
ა/ა GE89BG0000000492044900
დირექტორი
~~თორნიკე მიმინოშვილი~~